



დანართი № 10
დამტკიცებულია საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის 2008 წლის "-----" "-----"
№-----ბრძანებით

ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ომის ვეტერანებისათვის სტაციონარული და ამბულატორიული სამედიცინო დახმარების მიწოდება.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა ომის ვეტერანების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია, გაუმჯობესება და გართულებათა პრევენცია.

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლენი არიან ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში არსებულ საინფორმაციო ბაზაში რეგისტრირებული ბენეფიციარები (ომის ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები და მათი ოჯახის წევრები).
2. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. კომპონენტები და მომსახურების მოცულობა

1. პროგრამის კომპონენტებია:

- ა) ამბულატორიული სამკურნალო-პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარება;
- ბ) სტაციონარული სამკურნალო-დიაგნოსტიკური დახმარება

2. ამბულატორიული სამკურნალო-პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარება მოიცავს:

- ა) პრევენციული და სამკურნალო ღონისძიებების განხორციელებას დაავადებებისა და მათი გართულებათა მიმართ;
- ბ) დაავადებათა კონტროლს, დიაგნოსტიკას და პრევენციას;
- გ) სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას პროგრამის ფარგლებში გასაწევ მომსახურებაზე.

3. სტაციონარული სამკურნალო-დიაგნოსტიკური დახმარება მოიცავს:

- ა) სამედიცინო დახმარების გაწევა და ნოზოლოგიების მართვას ჰოსპიტლის

უნველყოფას;
სტაციონარში (საჭიროების შემთხვევაში).

მუხლი 5. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით.
2. სატენდერო პირობებს, ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს პროგრამის შესაბამისად განსაზღვრავს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუხლი 6. დაფინანსების მეთოდოლოგია

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება სრულად გლობალური ბიუჯეტის მეთოდით.

მუხლი 7. ბიუჯეტი

”საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 800.0 ათასი ლარით.